ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 48. 4 მარტი, სამშაბათი. 1866—1880 4 მარტი, სამშაბათი № 48.

ტფილისი

**რედაქცია**

რუსის მეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ თ. ლუარსაბ ლღვთიძისეულ სახლში, № 2.

**ხელის-მოწერა**

მიიღება „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ, въ редакцію Дроэба - „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

**ფასი განცხადებისა**

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით სტრიქონზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 29 თებერვალს. „მმართებლობის მოამბეში“ დაბეჭდილია, რომ შეფ-ჟანდარმი დენ. დრენტელნი, თავის ნებით, დაეთხოვა ამ თანამდებობას და დაინიშნა სახელმწიფო რჩევის წევრად.

პეტერბურღი, 1 მარტს. გუშინ პეტერბურღიდამ მიმავალი რკინის გზის მატარებელი, რომელშიაც, სხვათა შორის, იყო ედინბურღის გერცოგი დაეჯახა მეორე მატარებელს; ორი ვაგონი დაიმტვრა; ხალხი კი არავინ არ დამარცხებულა.

პეტერბურღის ბირჟა, 1 მარტს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა | 94 | „ |
| მეორესი | 94 | 2 |
| მესამესი | 93 | 50 |
| მეოთხესი | 93 | „ |
| აღმოსავლეთის პირვ. | 60 | 89 |
| აღმოსავლეთის მეორე | 90 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე | 90 | „ |
| ოქრო, ½ იმპერიალი | 7 | 77 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის ვიროს ფურცელი | „ | „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის | 225 | 50 |
| მეორე სესხის | 224 | 25 |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი | 25 | 24 | პენსი |
| ჰამბურღი | 215 | „ | ცენტი |
| პარიჟი | 265 | 5 | სანტიმი |
| ვენა | „ | „ | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი | | | |

### ქართულის თეატრის საქმე.

აქაურმა გაზეთებმა დიდი ალიაქოთი ასტეხეს მის გამო, რომ პატივცემული დ. ი. ყიფიანი, ჩვენდა სამწუხაროდ, დაეთხოვა ქართულს სათეატრო ამხანაგობას და ამ ამბავს მეორე დღესვე ზედ მოჰყვა განხეთქილება ამხანაგობისა და ქართულის ტრუპპის შორის. მაგრამ ვხედავთ კი, რომ ქართულის თეატრის საქმე ჯეროვანად არ არის ცნობილი მათგან, ვინც ამის თაობაზედ ლაპარაკობენ გაზეთებში. ამიტომაც მე, როგორც ერთი ამხანაგთაგანი მოვალეთა ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო საზოგადოებას ყოველივე გარემოება ქართულის სათეატრო საქმისა დაარსების დღიდამ დღევანდლამდე. მაშინ საზოგადოებას ხელთ ექმნება ნამდვილი საბუთები თვით გაარჩიოს მართალიც და მტყუანიცა.

დიდი ხანია, კარგა დიდი ხანი, რაც ჩვენს საზოგადოებაში ტრიალებდა აზრი, რომ როგორმე ქართული თეატრი დაარსდეს. ეს აზრი დაუძინებლად მოქმედებდა ნამეტნავად ჩვენს ყმაწვილ-კაცობაში. შესასრულებლად, რასაკვირველია, ფული იყო საჭირო. ამ ფულის საშოვნელად ქართულის თეატრის მოწადინენი და გულ-შემატკივარნი ჰმართავდნენ ხოლმე ქართულის სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენაებს იმ განზრახვით, რომ აქედამ შემოსულის ფულით ხსენებული აზრი თავის დროზედ აღსრულებაში მოსულიყო. ამ ღონისძიებით გროვდებოდა ცოტ-ცოტად ფული, მაგრამ ამ საქმის დიდი ნაკლი ის იყო, რომ ეს ფულები ერთგან არ გროვდებოდა და თვითონ საქმეც დაქსაქსული იყო. ბოლოს, ესე იგი, 11-ს აპრილს 1879 წ. თ. გ. მ. თუმანიშვილის და იოსებ ბაქრაძის თაოსნობით ქართულის სცენის მოყვარენი რიცხვით თოთხმეტი კაცი შეიყარნენ და დაჰსდვეს შემდეგი გარდაწყვეტილება:

„ჩვენ ქართულ სცენის მოყვარენი ვირჩევთ დ. ი. ყიფიანს, ნიკ. იაკ. ავალიშვილს, გ. მ. თუმანიშვილს, ალექ. ივ. სარაჯიშვილს და იოსებ ბაქრაძეს, რომ ამათ, ან ამათგან დანიშნულ პირებმა დაარსონ ამ წლის ენკენისთვემდი ქართული თეატრი, ესე იგი, შეადგინონ ხოლმე ქართული ტრუპპა, რომელსაც ჰქონდეს თვით-მმართველობა და იშოვნონ სამუდამო ქართულ თეატრისათვის საჭირო ნივთეულობა და ფული. ამასთანავე ჩვენ ვალდებულნი ვართ ზემოხსენებულ პირებს, ან იმათგან დანიშნულებს პირველ მოთხოვნილებაზედვე გარდავცეთ ყველა ფული და ნივთეულობა მოპოებული ჩვენგან გამართულ წარმოდგენებიდამ.“

ამ გადაწყვეტილობაზედ თოთხმეტს კაცს უწერია ხელი, ამათ შორის ეხლანდელის ტრუპპისა ხუთი წევრია.

23 აპრილს იმავე წლისას თ. გ. მ. თუმანიშვილმა შეიტანა ტფილისის საადგილ-მამულო ბანკში თხოვნა, რომელშიაც იხსენიებს, რომ ეხლა-ხან შეჰსდგაო ამხანაგობაო თანხმად 756—771 კანონების მუხლთაო და ვთხოვ ბანკის საზოგადო კრებასაო სამასი თუმანი შეჰსწიროს სათეატრო ამხანაგობასაო, როცა ამხანაგობა წესიერად გაიმართება და ბეჯითად მოეკიდებაო ქართულს სათეატრო საქმესაო. ბანკის საზოგადო კრებამ შეიწყნარა ეს თხოვნა და 30 აპრილს 1879 წ. გადაჰსწყვიტა შეჰწიროს გ.-ონ თუმანიშვილისაგან ხსენებულს ამხანაგობას სამასი თუმანი, მხოლოდ იმ პირობით, რომ ეგ ფული ჩაჰბარდეს ბანკის ზედამხედველს კამიტეტს და ამ კამიტეტმა გადაჰსცეს ეს ფული მარტო მაშინ, როცა ამხანაგობა იმდვენად წესიერად დაეწყობა, რომ იმედი იყოს სათეატრო საქმის რიგიანად მსვლელობისა.

მაშინ უწინდელთა რჩეულთა, სახელდობრ, დ. ი. ყიფიანმა, თ. გ. თუმანიშვილმა, იოსებ ბაქრაძემ და

## ფელეტონი

### მგზავრის ამბავი

ზოგჯერ ხილად მგზავრობა კარგი რამ ყოფილა; არა მარტო ზაფხულობით, ზამთარშიაცა; მეტად სასიამოვნო ჩემებრ გამონწყვდეულის კაცისათვის: ჰხედამთ მრთლად დედა-მიწის ზურგს, თეთრი თოვლის სუდარით დაფარულია და ბუნება მისვენებული, მკვდარივით ღრმად მიძინებული. ხეტყე, ხევანი გაშიშვლებული თავის სამკაულისაგან და მგლოვიარების შავში ჩამჯდარი; მზე ცივად დასცქერის შესუდრულ დედა-მიწას და მოლურჯო ფიცხი ჰაერი კაცს ჰსუსხამს შეუბრალებლად....

ველარ ჰხედავთ ზაფხულივით მრავალ გვარ მფრინველთა, მწყერს, ტოროლას, მოშიას და მისთანა მგალობელ მფრინველთა, წასულან, გალაგებულან ერთიანად თბილ ქვეყნებში, დარჩენილან მარტო კაჭკაჭი, ყვავყორანი, წრიალა და ჭივჭავნი. მრავალნიც ტყეებში შეფარებულ არიან. არევე მხეცნი, ნადირნი თავს იფარევენ აქა-იქ; დათვი მოსვენებით ხროშინებს ილოკს, ვეფხვი ნაპრალებითგან ნაპრალებს ეძებს გასათბობად, ფოცხვერი გაფიცხებული ნუკრ-შველებს უბუსუნებს, მგლები ტყეში ტურებს ტყავს აძრობენ და გარედ თავიანთ საკბილო პირუტყვებს ათვალიერებენ, მელები შენობების მახლობლად დაცანცალებენ, თითქოსო კარის ძაღლები იყვნენ!...

ჩემის შეხედულებით, ყველაზედ კმაყოფილნი და მაძღარნი უნდა იყვნენ მგლები მტაცებლობით და მელები თავის მოკვდარუნებით; ამათი სახესურათი ჩვენს დაცემულს საზოგადოებაში ისე გავრცელებულია, რომ სადაც წადგეთ წამოდგეთ, აქცევა არა აქვს. ჩვენი ქართველობა უ ენა-პირო ცხვარი არის იმათ ხელში, რომელნიც სწველენ, ჰპარსვენ და სარგებლობენ მუდამ ჩვენგან და ჩვენ კი ყოველის მხრით გულ-ხელ-დაკრებილნი დავშთენილვართ უნუგეშოდ!

ჩვენში ბევრჯერ ცხვრის ტყავებს იცმენ ზოგიერთნი, არა თავიანთ უწყალო ბუნების დასათბობლად, არამედ უგუნურ ქართველთ სულ-გულის გასათბობლად, რომ ადვილად შეეძლოსთ მათი ენება და ქცევა!...

მივდიოდი ცხენით ახალ-ქალაქისკენ. მხლებელი კაცი ხიზაბავრელი მყავნდა. ხიზაბავრას ამიყვანა. იმ ღამეს მომიხდა ამ შესანიშნავ სოფელში ღამის გატარება. ეს სოფელი ამით არის შესანიშნი, რომ სამესხეთოს ყოველი გარეგანი და შინაგანი სიძველის სახელი და ვედრება სრულ თავსში შეურყევლად შეუნახავს დღემდის; ამის მეტ არც ერთ ადგილას არ დაცულა არც ვენახი, არც ზნეობა და სუფრული გალობები!....

დიდის კაცთ-მოყვრობით მიმიღეს ერთ თბილ ბოსლის ოთახში. ჩემს ბედზედ მასპინძელს შვილის ნიშნობა ჰქონდა, ქართველი კაცი და ღხინი ღმერთს ერთად გაუჩენია; მოვიდნენ მის ახალი მოყვრები გაშალეს სუფრა და შევექეცით ტკბილს ნუნუასა; მე არ გამეგონა ხიზაბავრული ღვინის ქება; მაგრამ, რომ ვნახე გამოცდილებით, სწორედ საქებური ყოფილა, ძალით კახურს არ ჩამოურჩება და გემოთი იმერულ ღვინოს ბევრათ სჯობია; ნაკლებულება ესა აქვს, რომ ღვინის დაყენების ხელი კარგათ არ სცოდნიათ. ღვინისგან უფრო გამაკვირვა მათმა ნაირ-ნაირ მშვენიერ კილოებიან სუფრულმა გალობებმან. ურიგო არ იქნება იმერულ, ქართლულ, და კახურ სუფრულებთან ერთად ამათი სუფრულიც დაიწერებოდეს ნოტებითა. ზომიერი ღხინის შექცევის შემდგომ, გამშორდნენ და მივეც თავი ტკბილ განსვენებას...

მეორე დღეს დილით ცოტა ბუქი კორიანტელი იყო; გვიან შევეცადე სამგზავროდ. შემოვიდნენ მეზობლის კაცები, მომისხდნენ გვერდით.

ამათგანმა ერთმა მოხუცებულმან გამოიჩინა უფრო ზრდილობიანი თავაზა, წაილ-წამოილო საუბარი და მოიტანა სწავლულების ვალდებულებაზედ; იმათში მეც მიმატანა: მითხრა, სწავლული კაცები ქვეყნის წინ მძღომი და აღმადგინებელნი უნდა იყვნენო; მაგრამ სად არის??

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკ. ავალიშვილმა საჭიროდ დაინახეს, ქართულის სათეატრო ამხანაგობის შედგენა. ამათმოიწვიეს სხვანიცა შეადგინეს ამხანაგობა და 8-ს მაისს ამხანაგობის ხელ-შეკრულობის წერილიც დაჰსდვეს. ამ ხელ-წერილზედ ახლად მოწვეულთ გარდა ხელი უწერიათ დ. ი. ყიფიანს, გ. თუმანიშვილს, იოსებ ბაქრაძეს და ნიკ. ავალიშვილს, ესე იგი, ყოველს იმათგანს, რომელნიც სცენის მოყვარეთაგან ამორჩეულნი იყვნენ, გარდა ალექ. სარაჯიშვილისა, რომელიც ახალთეკის ჯარში წავიდა.

ჰქონდათ ამათ ნება ამხანაგობის შედგენისა თუ არა? ჩვენის ფიქრით, ჰქონდათ, ჯერ იმიტომ-რომ არაკაცს არავისაგან ნების დართვა არ უნდა, რომ კანონისაგან შესაწყნარებელი ამხანაგობა გამართოს და მერე იმიტომ-რომ სცენის მოყვარეთა ოქმში ეწერა ან თქვენ და ან თქვენგან დანიშნულ პირებმა დაარსონ ქართული თეატრიო ამხანაგობაში ჯერ ხომ თვითონაც არიან და მერე, მათგან მოწვეულნი მაშასადამე დანიშნულნი პირნიცა.

ჰქონდათ ამათ ნება,—სცენის მოყვარეთაგან მოპოებული ფული და ნივთეულობა გარდაეცათ ამხანაგობისათვის? ჩვენის ფიქრით, ჰქონდათ, ჯერ იმიტომ-რომ ამხანაგობაში თვითონვე სცენის მოყვარეთაგან ამორჩეულნი პირნი არიან და მერმე იმიტომ რომ სცენის მოყვარეთა ოქმში სწერია: „ვალდებულნი ვართ თქვენ, ან თქვენგან დანიშნულ პირებს გადაეცეთ ყველა ფული და ნივთეულობაო.“

თუმცა ამის ძალით მათ, სცენისმოყვარეთაგან ამორჩეულთა პირთა შეეძლოთ გადმოეტანათ ამხანაგობაში ყველა ფული და ნივთეულობა, რაც სცენისმოყვარეთაგან მოპოებული იყო, მაგრამ ის ფული და ქონება ამხანაგობისათვის არ ჩაუბარებიათ და თასაკუთარ გამგეობის ქვეშვე დაინარჩუნეს.

ამხანაგობის ხელ-შეკრულობიდამ მოვიხსენიებთ მხოლოდ იმ მუხლთა შინაარსს, რომელიც შეეხება ტრუპპისსა და ამხანაგობის ერთმანეთზედ დამოკიდებულებას. იმიტომ-რომ აწინდელის განხეთქილების ასახსნელად მარტო ეგ არის საჭირო. აი ამის შესახებ ამხანაგობის ხელ-შეკრულობაში რა ჰსწერია:

„ჩვენ (ესე. იგი ამხანაგნი) ურთიერთობით (**взаимно**) ვკისრულობთ 1879 წლის 1-ს სეკტემბრიდამ შევადგინოთ სამუდამო ტრუპპა ქართულის წარმოდგენებისათვის.“ „ამ აზრის ასასრულებლად მიგვიღია შემდეგი ღონისძიება: წინადვე განსაზღრულ ვადით შევადგინოთ ქართული ტრუპპა, ქირით ვაძლიოთ მოპოებული ჩვენგან სათეატრო სამკაული და ავეჯი, ფულით ხელი გაუმართოთ იმ პირობით კი, რომ ვადის მერმედ დაგვიბრუნდეს ან ფულადვე, ან ავეჯითა.“ „ამის სამაგიეროდ მოვსთხოვთ ტრუპპას მარტო ის პიესები ითამაშონ, რომელნიც ამხანაგობისაგან მოწონებულნი იქნებიან. თუ თთვის შემოსავალი აღემატება ას ორმოც-და-ათს თუმანს, მხოლოდ მაშინ ამხანაგობის სასარგებლოდ ტრუპპამ გადიხადოს ასის თავზედ იმდენი, რამდენზედაც ჩვენა და ტრუპპა ერთმანეთში მოვრიგდებით.“ „ყოველივე ახალი წევრი მიიღება ამხანაგობისაგან მხოლოთ მაშინ, როცა ამხანაგობის კრება ერთხმად მიღების თანახმა იქნება და ეგრეთ მიღებულმა წევრმა უნდა კისრად იდოს ყოველივე ის ვალდებულება, რაც ამხანაგობის წერილშია მოყსენებული.“ ამას გარდა ამხანაგობა დაპირებული იყო, რომ თუ ვინიცობაა ტრუპპის შემოსავალი იმდენი არ იქნება, რომ მარკებით დანიშნულს ტრუპპის ჯამაგირს გასწვდეს, ამხანაგობამ უნდა დანაკლისი თავისის ჯიბიდამ შეავსოს თვე და თვე და ორჯერ ისეც მოხდა, რომ ამხანაგობამ თვისგან მოპოებულ ფულით შეავსო დანაკლისი და არც ერთხელ თავისგან თხოვებულ სამკაულში, ტანისამოსში თუ სხვა ნივთეულებაში ქირა არ მოუთხოვნია ტრრუპპისაგან, თუმცა ქირა ამხანაგობის წერილში მოხსენებულია და თუმცა ეგ თხოვება ყოველს წარმოდგენაში იყო.

ამხანაგობამ თ. გ. მ. თუმანიშვილისა, იოსებ ბაქრაძის, დ. ავალიშვილის და თ. დ. ერისთავის მეცადინეობით შეადგინა ტრუპპა, რომელსაც ნება ჰქონდა თვით განეგო ტრუპპის შემოსავალ-გასავლის საქმეები, თვით ამოერჩივა რეჟისსორი და ტრუპპის წევრნი მიეღო და დაეთხოვნა. ამხანაგობა თავისად არაფერში ერეოდა გარდა იმისა, რომ ზრუნავდა სათეატრო სამკაულის და საჭირო ნივთების შოვნისათვის და ფულით ხელის გამართვისათვის, თუ ტრუპპას დასჭირდებოდა. თვით ის ერთად-ერთი უფლებაც, რომ ამხანაგობის დაუკითხავათ პიესებს ნუ ითამაშებთო, არ გამოუყენებია ამხანაგობას ტრუპპის წინაამდეგ. მაგალითად მოვიყვანთ თუნდ გ. წერეთლის პიესას „ოჯახის ასული,“ რომელიც დაწუნებული იყო ამხანაგობისაგან, მაგრამ ტრუპპამ აიღო და წარმოადგინა ამხანაგობის ნება დაურთველად. ამხანაგობამ არამც თუ ხელი შეუშალა ამაში ტრუპპას, სამდურავის თქმაც არ მოსვლია ფიქრად. ამ რიგად შედგენილი ტრუპპას წარმოებდა 1-ს სეკტემბრიდამ 1879 წ.

22-ს ნოემბერს იმავ წლისას ამხანაგობამ წარუდგინა ბანკის ზედამხედველს კამიტეტს ხელ-ახლად თხოვნა და მასთან ამხანაგობის ხელ-შეკრულობაცა იმის ნიშნად, რომ ამხანაგობა წესიერად გამართულია. ხოლო იმის საბუთად, რომ ამხანაგობა ბეჯითად მოეკიდა სათეატრო საქმეს, თხოვნაში ნაჩვენები იყო, რომ ქართულის თეატრის ტრუპპაც შევადგინეთო და სწარმოებს კიდეცაო. თხოვნაზედ ხელი უწერია ყველა ამხანაგებს თვითეულად. ზედამხედველმა კამიტეტმა შეიწყნარა თხოვნა და დაინახა რა რომ ამ ამხანაგობას შეიძლება იმენდოს ბანკის კრებისაგან დანიშნული ფული, გადასწყვიტა ეგ ფული მიეცეს ამხანაგობასა.

ამ საქმის გარემოების შესავსებლად საჭიროა მოვიხსენიოთ ერთი ამბავიცა. თ. გ. მ. თუმანიშვილის თაოსნობით შარშან მაისში მოწვეულ იქმნენ ტფილისის საადგილ-მამულო ბანკის ზალაში ყველა, ვისაც კი ქართულის თეატრისათვის გული შესტკიოდა, ორმოცამდე კაცი და ქალი შეიყარა. ამ კრებამ გადასწყვიტა შესდგეს საზოგადოება ქართულის თეატრის საქმის მოსაწყობათ. წესდების დაწერა მიანდეს ერთს პირს და მთავრობაში დასამტკიცებლად წარდგენა სხვას ორს პირსა. არც ერთი ამათგანი ქართულს სათეატრო ამხანაგობაში არ ურევიან. წესდების დაწერამ კარგა ხანი დაიგვიანა, ბოლოს დაიწერა წესდება და თ. გ. თუმანიშვილმა თეთრად გადააწერინა და 25-ს ნოემბერს 1879 წ. გადჰსცა იმ ორს პირს, რომელთაც მინდობილი ჰქონდათ, რომ მთავრობაშ წარედგინათ. ის ორნი იმისთანა ღირსებისანი არიან, რომ თავის დღეში არ იკადრებენ აქაზედ უარი ჰსთქვან. და თუ ის წესდება რომელიმე შემთხვევით დაიკარგა ანუ აქამდის წარდგენილი არ არის, აქ ამხანაგობა რა შუაშია?

ჩვენს ამხანაგობას დაჰსწამეს, რომ იძახითო კამიტეტი არა ვართო, ამხანაგობა ვართო,—ეგ ხომ ხრიკიაო,

---

— ამდენ ჭირს, შეწუხებას, ჩაგვრას ვსწევთ ვაჭრებისა და უსინიდისო მებატონებისგან, შემწე და პატრონი კი არა გვყავსო!

— განა საბატონოა თქვენი სოფელი მეთქი?

— ადრე, ოსმალოს დროს, სახელმწიფო იყო ესეცა ქოთელიაცა, მაგრამ ჩვენ წინაპარებს მრავალი ქართლიდგან გარდმოყვანილი ტყვე რომ ბევრჯერ გაუპარებიათ უკან და ქახეთის სოფლებში ნაშთ ქრისტიანებისთვის მწეობა რომ მიუციათ ქართლში გარდასასვლელად, სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილის დროს საფაშოდ გამხდარა და მერმე რუსის დროს ვიღაც ზავალევსკი საბატონოდ გაგვხადა.

— მერე არ იჩივლეთ მთავრობასთან?

— როგორ არა, ბატონო? თოთხმეტმა ბეგმა ხელი მოუწერა ჩვენ ქაღალდზედ, ანტონ მღვდელმა, აგრეთვე ალი-ბეგმაცა, ჩვენ ვიცით სახელმწიფო არის თავითგან ხიზაბავრა და ქოთელიაო და არა საფაშო, რომ საბატონოდ გამოვიდესო; მაგრამ კარის კაცებმა უარი გვითხრეს. ჰალბათ ზავალევსკისა თუ ეხათრებოდათ.

— მერე?

— მერმე სომხებმა პართანოვმა, მუთაფოვმა და ალი-ბეგმა იყიდა ზავალევსკისაგან სევასტოპოლის აღების მერმე მარტო ხიზაბავრა; ამის გარდა გვეჭირა ჩვენ სახელმწიფო ნაოხრები ოდისი, ოსპნაური და პარანტა, როცა ამ სომხის მებატონეების ხელში ჩავარდით, და ამათ სახელმწიფო მიწების შეთვისებაც გაბედეს, ბატონო, და აბა ჩვენ რა კარგს დაგვაყრიდნენ?!

— როგორ სახელმწიფო მიწებისა?

— როგორ და ალიბეგმა ჩვენებური მაჰმადიანი სულო-ბეზოშვილი მოიმხრო და სომხებმაც ჩვენებური მამასახლისი, თითო ყანაზედ და თითო სკალატის კაბებზედ გაგვყიდეს, ჩამოგვიგდეს სოფელში ანღვრეულება, დაგვადგნენ, უთუოდ ან თქვენი სახელმწიფო მიწებიდგან ჩვენც კერძს მოგვეცემთ და მის სამაგიეროს ჩვენც ჩვენი საბატონო მიწებითგან მოგცემთო, რომ თანასწორედ ვემსახუროთ ხელმწიფესა და ბატონებსაცა, თუ არა და მაგ სახელმწიფოებსაც საბატონოდ გავხდითო! ჩვენ მათი წინადადება არ მივიღეთ, როგორ მივცემდით ჩვენი მამის საკუთრებას სხვებსა; იმათაც თავიანთი სიმრუდე არ დაიშალეს, ამ დროს დავაპირეთ ამ სახელმწიფო ნაოხრებში გარდასახლება, მაგრამ მეზობლები შეგვიშალეს პირობითგან, მით რვაოდე მოსახლე ჩვენგანი პარგავს ავიდა, დაესახლნენ და ჩვენ დავრჩით მგლების პირში!

— მერმე როგორ გახადეს სახელმწიფო საბატონოდ?

— როგორ და ყიდვის შემდგომ რამდენიმე წლისა, ვინცღა მოსყიდული ღვთის რისხვა მოხელე ამოიყვანეს ბარონ ზერდი, წაიმძღვანა ამან ჩვენი ხსენებული პირშავი წვერთეთრები და მრთელი სახელმწიფო მიწები საბატონოში შეურია, მხოლოდ ოდისები საროელებს საროს საწყეროზედ გაუცვალეთ და ახლა სახელმწიფო მარტო ისა გვაქვს, ოსპნაური და პარანტაკი მაშინვე გაიტაცეს ბატონებმა და მას აქეთ არხეინად სჭამენ სახელმწიფო მიწებსა.

— ეგ შემთხვევა არ შეატყობინეთ მთავრობასა?

— როგორ არა, ბატონო, ჩვენში პეტრე მამუკოვი იყო, ის ცხონებული ციხესავით დაუდგა ბატონებსა; შევერთდით სოფლეულადაც, ჩვენთან ერთად კოთელიელებიცა. გავაკეთებინეთ ქაღალდი და მივეცით კოთელიელ სტეფანე ვერ-ცხონებულსა. ამან მოაცდუნა მამუკოვი და აწყვერითგან გამობრუნდა რომელიმე მიზეზით და ის ქაღალდი კი ახალციხეს მისცა მებატონეებს, აიღო 30 თუმანი და გაჯდა მოსვენებით ქოთელიასა.... ახლა ყოველნაირ ბარბაროსობას ჩადიან: დღემდის, რომ მამასახლისი თავისუფალი იყო, ღალას არ გარდიხდიდა, დღეს ისიც მოსპეს; დაუბრიათ მამასახლისმა თავის ღალა ჩამოიტანოსო.

მე ამ მოხუცებულს, რაც შეიძლებოდა, პირად შორს გავუკიდე თავისი სათხოვარი; ვუთხარ, თქვენი თავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

(крюжатворство). ვისაც საქმის გულკეთილად ახსნა უნდა, ამას არ იტყოდა და ამას არ დაგვწამებდა. კამიტეტისა და ამხანაგობის შორის ის განასხვავებაა, რომ კამიტეტი უსათუოდ ვისგანმე უნდა იყოს ამორჩეული და ამხანაგობა კი თავისისავე საკუთარის სურვილით არსებობს ხოლმე. ვისაც ესმას ეს ანბანი, ის აღარ ჰკითხავს ამხანაგობას საიდამა ხართო. იქიდამა ვართ, რომ ჩვენ თითონვე მოვიწადინეთ ერთმანეთთან ამხანაგობა ქართულის თეატრის შესაწევნად. სათეატრო სამკაული, ავეჯი და ტანისამოსი რად დაიჩემეთო, გვაყვედრიან ჩვენ. ამის პასუხად მოვახსენებთ, რომ თოთხმეტმა კაცმა ეგ ავეჯი და სათეატრო ქონება მიანდო თვისგან ამორჩეულთ პირთა და უთხრა ან თქვენ ჩაიბარეთო, ან თქვენგან დანიშნულ პირებმაო. ამორჩეულნიც თანახმად ამისა მოიქცნენ: ქონება ჩაიბარეს და დღესაც იმათს საკუთარს გამგეობაშია. ამხანაგობა არავითარი უფლება არა ჰქონდა და არა აქვს უთხრას იმ სცენის მოყვარეთაგან ამორჩეულ პირთ აიღეთ და ამათ და ამათ მიეცითო თქვენდა რწმუნებული ქონებაო. გარდა ამისა სათეატრო ქონებაში ბევრი იმისთანაა, რომელიც ამხანაგობის ფულით და ღვაწლით არის ნაშოვნი. ამაებისას, რასაკვირველია, ვერავინ იკითხავს: რად იჩემებთო.

აი ის გარემოება საქმისა, რომლიდამაცა ჰსჩანს, როგორ შესდგა ამხანაგობა და რა განზრახვით, რა დამოკიდებულება ჰქონდა ტრუპპასთან და რა უფლება მიუძღვის სათეატრო ქონების შესახებ.

ერთი ამხანაგთაგანი.

(შემდეგი იქნება)

## ახალი ამბები

—

წუხანდელი წარმოდგენა ბატ. ა. ცაგარელის პიესისა — „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“ ბევრად უკეთ, უფრო ცოცხლად წავიდა, ვინემ როცა პირველად ითამაშეს. განსაკუთრებით ვ. აბაშიძე ავეტიკა-სომხის როლში სწორეთ შეუდარებელი რამ იყო. ყოველი იმისი სიტყვა-პასუხი და მიხვრა-მოხვრა ნამდვილ, ზედ-გამოჭრილ იმ სომხის ტიპს წარმოგვიდგენდათ, რომლის გამოხატვაც, უეჭველია, სახეში ჰქონდა ახალგაზდა ავტორს ამ ცოცხალ კომედიისა.

დანარჩენი მოთამაშეებიც ურიგოთ არ ასრულებდნენ თავიანთ როლებს. გაბუნიას ქალმა და კ. მესხმა არაერთი ტაში მიიღეს მაყურებელ საზოგადოებისაგან.

საუბედუროდ საზოგადოება ამ ჯერობით ერთობ ცოტა იყო. მიზეზს ზოგიერთები ამბობდნენ იმას, რომ არწრუნის თეატრში სიარულს ჩვენი საზოგადოება ჯერ არ არის შეჩვეულიო; ამას გარდა ბევრს, უეჭველია, ცუდმა ამინდმაც დაუშალა მოსვლა.

ეს წარმოდგენა ამ ზამთრის სეზონის უკანასკნელი წარმოდგენაა ჩვენის ტრუპპისა. თუ ამხანაგობა და ტრუპპა მოთავსდნენ, ერთმანეთში დათანხმდნენ, ს.უ, საზოგადოების სასიამოვნოდ, იმათ დაივიწყეს ამ საზოგადო საქმეში თავიანთი პირადობა და გარდამეტებული თავ-მოყვარეობა, დიდი მარხვის მეორე კვირაში ხელ-ახლად დაიწყება ქართული წარმოდგენები.

* * *

წარსულ ნომერში მოკლე შენიშვნა იყო დაბეჭდილი თამამშოვის ქარვასლაში ცეცხლის გაჩენის თაობაზედ. ამ საგანზედ ჩვენ გვაცნობებენ ახლა, რომ მადათოვის მაღაზია, სადაც გაჩნდა ცეცხლი, მხოლოდ ალ. შადინოვის გილდის მოწმობით ყოფილა გახსნილი და ამ შადინოვს ხსენებულს მაღაზიაში არავითარი წილი არ ჰქონია. ამას გარდა საქონელი ამ მაღაზიაშა, ორასი თუმნის კი არა, როგორც ჩვენს გაზეთში იყო გამოცხადებული, ოთხას-ორმოც-და-ათი თუმნისა აღმოჩენილა; სტრახში კი ექვსას თუმნად ყოფილა შეტანილი.

* * *

თუ როგორის სისწრაფით მოქმედებენ ზოგიერთი ჩვენი უეზდის სასამართლოები — ამის დასამტკიცებლად შემდეგი მაგალითი მოგვყავს:

ჩვენ გვაქვს ხელში ცხინვალის მომრიგებელ მოსამართლის თანაშემწის „უწყება“, რომლითაც ივანე ბესარიონის ძე პალატოზოვი მოწვეულია ცხინვალის სასამართლოში 1879 წელს 28 თებერვალისათვის. ეს უწყება მოსამართლის თანაშემწისაგან ხელმოწერილია იმავე 1879 წლის 5 ნოემბერს! წარმოიდგინეთ, 28 თებერვალს უნდა გამოცხადდეს კაცი სასასართლოში და 5 ნოემბერს უწყებას უგზავნიან! მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ეს უწყება პატრონს, პალატოზოვს, 25 თებერვალი 1880 წელს ჩააბარეს!..

* * *

„თფილისის მოამბის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია ბატ. გ. წერეთლის წიგნი, რომლითაც ის სთხოვს ბატ. დ. ი. ყიფიანს გამოაცხადოს: სთხოვა იმან (გ. წერეთელმა) თეატრალურ კომიტეტს 100 მან. თავის კომედიის პრემიათ, თუ არა.

ეს იმისთვის უნდა ბატ. გ. წერეთელს, რომ დაამტკიცოს, ვითომც ჩვენ ცილს ვსწამებთ იმას.

უბედურებაა, როცა კაცმა ცხადათ დაწერილის წაკითხვა არ იცის! საქმე იმაშია, რომ ჩვენ ეს გარემოება ორჯერ მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში და არც ერთჯერ არ იყო ჩვენს გაზეთში ნათქვამი, რომ გ. წერეთელმა თვითონ ითხოვა პრემიაო. დაურღვეველი და ნამდვილი ფაქტი ეს არის: დ. ი. ყიფიანმა შეიტანა თეატრალურ კომიტეტში წინადადება, რომ გ. წერეთელს „ოჯახის ასულის“ ავტორს ამ კომედიის დაწერისათვის 100 მან. პრემია მიეცესო, და კომიტეტმა ამ წინადადებაზე უარი განაცხადა.

ცხადია, თუ არა? ვის დაერქმის ახლა ცილის-მწამებელი?..

* * *

დღეს იწყება თფილისის ოლქის სასამართლოსაგან განხილვა ყალბი ბილეთების გამკეთებლებისა და გამავრცელებლების საქმის განხილვა. ოლქის სასამართლოს სამხედრო სასამართლოს ზალაში აქვს სხდომა, რადგან ბევრი ბრალდებულნი და მოწმეები არიან და აქ უფრო ვრცელი ზალაა.

ამბობენ, ეს საქმე ერთ კვირაზე ადრე ვერ გათავდება ოლქის სასამართლოშიო.

ვეცდებით მოკლე ანგარიში მაინც წარუდგინოთ ჩვენს მკითხველებს ამ საინტერესო პროცესსისა.

* * *

ამ უკანასკნელი კვირის განმავალობაში საშინელი ცივი ქარ-ბუქი და ცუდი ტაროსები დადგა ქალაქში; გუშინ თოვლაც დაიწყო და დღეს ისეთი ღრმა თოვლია, რომ მარხილები (სანები) თავისუფლად დაიარებიან.

# სამართალი

—

### ყალბი ბილეთების საქმე

სხდომა 3 მარტს.

სამხედრო სასამართლოს ზალა, სადაც სამოქალაქო ოლქის სასამართლო იხილავს ამ საქმეს, სავსეა მაყურებლებითა. ვაჭრები მომეტებულ ნაწილს შეადგენენ; ქალებიც ბლომად არიან.

---

თქვენის ხელით ტყვედ მიგიციათ ბატონებისთვის და ვილას უნდა შესჩივლოთ, ყველანი თქვენ გაგამტყუვნებენ-მეთქი. მაგრამ გული კი ძალზედ დამეწვა: წარმოიდგინეთ, ღვიძლ ძმასა ძმა ეწოდეს ცეცხლში და გულხელ დაკრეფილი როგორ უნდა დადგეს უმოძრავად და არავითარი შემწეობა არ მისცეს?

წელს ხიზაბავრა სარჩო-ჭირნახულზედ მდიდრად არის; ბევრი ჯავახელები არიან ამ სოფელში, უყიდიათ კალოობაზედ ბზეები, ჩამდგარ არიან ახლა და ჰკვებენ მოსვენებით ხარძროხებსა. ამათაც ვჰკითხე თავიანთ მხრის სოფლების ამბავები: შიმშილობას აღარა უკლია, ბევრს ძველი პურები ჰქონიათ და უმართებენ ერთმეორეს ხელსა. ნეტა ყველგან ასე მოიქცეოდნენ, მეტადრე მებატონები თავიანთ გლეხებზედა! ამდენს ბეგებში მხოლოდ ვიცი ალიბეგის შვილი ფ. ბ. ათაბეგოვი, რომელსაც ბევრგან თავის სოფლებში ბეღლები აქვს ჭირნახულით სავსე; გლეხი გაჭირვების დროს მიჰმართავს თუ არა, მაშინვე ასესხებს ან სხვებრ მამობრივად ქველმოქმედებით ხელს უწყობს მრავალთა...

აქ ხიზაბავრაში ექვსი წლით წინ ერთს პატივცემულ მღვდელს შკოლა დაუწყვია, კედლები აკოშკებით სრულ შეუსრულებია, ხე-ტყის გარდაყრა კი არ დაუცალებიათ... სხვა ვილაც ჭკუის საწყალი ახალი მღვდელი შემოვარდნიათ სამ წელიწადს დამდგარა, მაგრამ წარმატების მაგიერ უფრო მრავალი ვნება მოუტანია; რომ ველარ მოთავსებულა, გაქცეულა წასულა, და ეს მეორე წელიწადია მღვდელი არა ჰყავსთ, შკოლის კედლების ნაპირები ენგრევათ; იმდენი ვერ უქმნიათ, რომ ხე-ტყით დაეხურათ. დროებითად საშობაოდ ახალციხითგან ერთი ვილაც მღვდელი მოსვლოდათ, მეტად უხაროდათ, ამბობდნენ: ჩვენი გამაუბედურებელი ახალციხის სასულიერო მმართველობის ჩლენი და მწერალი არისო, სოფლით ქალაქამდის ქვეყანას აქცევენ, მღვდლებსა და ერს ერთმანერთს აჭმევენო!.

ბევრი რამ იჩივლეს, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება. მხოლოდ ამას ვიტყვი, რომ ჩვენი ქართველობის დამქცევიც სასულიერობა არის და ამშენებელიცა...

მე მეშურებოდა, ჩემ გზას დავადგე, მივალ ახალქალაქს. რომ ნახოთ, სწორედ შეგებრალდებათ ისე პურმძიროობა არის. ჩემთან ერთმა ვარგაველმა, ხუთიოდე ოყა თუ იქმნებოდა მოიტანა ხურჯინით ქბილი, დაეცნენ და აუწონავად წაიღეს სამ მანეთათ. ამ რიგად შემაცა, თითო ღლ[illegible] ძლივ გამოვა, ცხენის საპალნე კი ჰქვიან, ექვს აბაზათ აძლევენ! სოფლებში საქონლის უსარჩოებას ხომ ბოლო დაუქნია: მეტადრე ოროჯოს, პორხს და მისთანა გზის ნაპირ სოფლებისათვის.

აქ ერთი ჩემის ნაცნობისაგან კარგი საინტერესო ამბავი შევიტყე: ერთ მის მეგობარს ქვების ზიდვაში ნაოხრებითგან, შეხვედრია ვერცხლის თასი და კულა, წონა ყოფილა 450 დრამი ისევ ძველი კერპობისა, და როგორც მითხრა, თავში იმ თასში გამოხატული ყოფილა ქართველთ მეფების არმა, ლომები ალას ამდგარი, და მის ქვემოდ სპარსებისა, სომხებისა და სხვათა საქართველოს მომიჯნე მეფეთა და მთავართა. მეტად უცხო სანახავი ყოფილა, ამოჭრილი ყვავილებით და ხეებით; კულა კი სადა ყოფილა, კოშის ნაირად სწორე, მაღალ ყელიანი; თასის სიდიდე $5\frac{1}{2}$ ვერშოკი იქნებოდაო და კულაში ბოთლ ნახევარი ღვინო ჩავაო.

ამ ნივთებში 200 მანეთი უძლევიათ, და რომ უცხო ხელში არ ჩავარდეს, არ დაიკარგოს, შეუძლიან ჩვენ მოღვაწე არხეოლოგიურ ძმობასა პირ-და-პირ მე მომმართონ და მე შემიძლიან ჩემი მეგობრების ხელით შეძინება მათი, რომელიც ძვირფასი და პირველი იქმნება ჩვენი მუზეუმისთვის.

ვინმე მესხი.

ახალციხე, 28 იანვარს.

ბრალდებულთ რიცხვი არის 37, რომელთაგან ერთი მომკვდარა. მოწმები სასამართლოსაგან და პროკურორისა და დამცველების მხრით სულ 180 არიან გამოწვეულნი, ამათგან ოცამდინ არ გამოცხადებულა სასამართლოში, სხვა-დასხვა მიზეზების გამო. ამას გარდა დაბარებულნი არიან ათამდინ ექსპერტები.

სასამართლო 11 საათზე გაიხსნა.

სასამართლოს შეადგენენ: თავსმჯდომარე ოლენინი, წევრნი: პოლტორაცკი და ტალიზინი. პროკურორი — ბუდიმ - ლევკოვიჩი. ბრალდებულთ დამცველებად არიან ადვოკატები: სტეფანოვი, მელეგა, იაგულოვი, ოლანეზოვი, დანიელოვი, ხოსროევი, ხლებნიკოვი და არწრუნი.

„ნივთიერ დამტკიცებათა“ სტოლზე აწყვია: ყალბი ქაღალდის ფული 25 მანეთიანი და 3 მანეთიანები პაჩკობით, საბეჭდავი იარაღები, ამოჭრილი ქვები და თითბრის ფურცლები და სხვ.

სეკრეტრისაგან ბრალდებით აქტის წაკითხვის შემდეგ სასამართლოს ზალაში შემოიყვანეს ბრალდებულნი, რომელთაც ჩვეულებრივ სასამართლოს კითხვაზე, სთქვეს თავის სახელი და გვარი და ყველამ ერთ-ხმად გამოაცხადა, რომ ამ საქმეში ჩვენ თავს დამნაშავეთ არ ვაღიარებთო.

ნასადილევის 2 საათზე სასამართლომ დაუწყო მოწმეების ჩვენების ჩამორთმევა.

ბრალდებულნი არიან 37, 1 მკვდარი:

პეტრე ქარაევი, იაკ. დურ..ალოვი, ალექსი ქვინიტაძე, თ. ლუკა ანდრონიკოვი, ვ. ბექანოვი, გ. დიდაროვი, ტიგრან პაპოვი, ეკატ. პაპოვისა, არუთინ ხეჩატუროვი, გეორქ მირიანოვი, ზაქ. ნასყიდოვი, ოჰანეზ ასლანოვი, რაქიმ ბადალიანც, გალუსტა ჩუგალოვი, ივანე მურადოვი, ნიკინიკიტა ჯანიბეგოვი, კოსტ. ვართანოვი, სტ. ტატოსიანცი, ქრისტ. არცატპანიანც, გასპარ. გაკალოვი, მოსეს გერინოვი, გრ. ჯაგარბეგოვი, იაგორ ქალამქაროვი, ის. ბადალიანც, კოსტ. ბახჩისარაიცევი, მიკირტიჩ გიულჯანოვი, გრ. სარქისოვი, სერგეი ლაზარევი, აბელ აფიმამუდოვი, მათეოზ შირხანოვი, ალაჯან ბადალოვი, ისაკ. ბალასანოვი, ვას. არუთინოვი, გევ. გამბაროვი, არტ. ჰაჯიმამედოვი, ნინიკა ცისკარაშვილი, ქს. ქანონჩი.

---

# განცხადებანი

ქარვასლაში სარაჯოვისა და ხეროდინოვისა ისყიდება **პოდსოლნეჩნი ზეთი** ძალიან კარგი გემოვნებისა, ტკბილი, — თუნგი ცხრა აბაზათ.

იმედი მაქვს, ყოველი მომხმარებელნი კმაყოფილნი იქმნებიან.

(3—1)

---

**საქართველოში წერა - კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა** აცხადებს, რომ ის უნიშნავს **ოთხს ჯილდოს** იმათ, ვინც კი შემდეგს სახელმძღვანელოებს შეადგენს სასოფლო შკოლებში სახმარებლათ.

1. **ას ორმოც-და-ათ მანეთს** ელემენტარული არითმეტიკის შემადგენელს.

2. **სამას** მანეთს პირველ-დაწყებითი გეოგრაფიის კურსის შემადგენლს.

3. **სამას** მანეთს საქართველოს ისტორიიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

და 4. **ორას** მანეთს ბუნების მეტყველებიდამ ადვილათ საკითხავი ამბების შემადგენელს.

შემადგენელები არ უნდა დაბრკოლდნენ ამ სახელმძღვანელოებში სახმარებელის სურათების შესახებ, რადგან მმართველობა თითონ იკისრებს ამ სურათების დაბეჭდვას.

ჯილდოს მიღება ვისაცა სურს, თავისი სახელმძღვანელო უნდა წარმოადგინოს 1 თებერვლამდე 1881 წ. თითონ სახელმძღვანელო უნდა იყოს ერთს პაკეტში და ზედ დევიზი ანუ პსევდონიმი ეწეროს რამე. მეორე პაკეთში იქნება სახელი და გვარი შემადგენელისა და იგივე დევიზი ანუ პრევდონიმი. ჯილდო მიეცემა იმ ავტორს, რომლის თხზულება სხვებზე უკეთესი აღმოჩნდება.

(9—3)

---

**„წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მმართველობა“** სთხოვს იმ პირთა, რომელთაც უნდათ **საზოგადოების** წევრათ შემოსვლა, გამოგზავნონ **საზოგადოების** კანცელიარიაში წევრათ შემოსვლის სურვილის განცხადება და მასთან ერთად საწევრო ფული 6 მანეთი. მაისის საზოგადოების საერთო ყრილობამდინ ისენი იქნებიან **საზოგადოების** კანდიდატებათ ჩარიცხულნი.

კანცელარიის ადრესი არის: **Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. На Давидовской улицѣ, № 20.**

(6—3)

---

სახელოსნო

# კლუბისაგან

თფილისის სახელოსნო კლუბის სტარშინების რჩევა ამით აცხადებს, რომ რადგან სამშაბათს, **4** მარტს, ნემეცების ყველიერია, ამის გამო ამ დღეს კლუბში იქნება მასკარადი.

სტუმრები იმ წესით იქნებიან მიღებულნი, რა წესიც აქამდე იყო გამოცხადებული.

(2—2)

---

# პრიკაზისაგან

კავკასიის აქეთა-მხრის პრიკაზში ამა წლის 8 მარტს დანიშნულია აუქციონით გასყიდვა ოქრო-ვერცხლის ნივთებისა და ძვირ-ფას ნივთებისა, რომელნიც დაგირავებულნი არიან პრიკაზში და ვადა გასულიათ.

(3—3)

---

თფილისის ოკრუჟნის სუდის **მეჟევის** განყოფილებაში არიან დანიშნულნი მოსასმენელად შემდეგნი საქმენი:

13 მარტსა (1880 წლისას)

1) იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ, დუშეთის უეზდის, სოფლის ახატანის მამულების გაყოფის დროსა.

22 მარტსა

იმ დავებისა, რომლებიც აღმოჩნდნენ დუშეთის უეზდის სოფლის მუხრაანის მამულებინ გაყოფის დროსა.

(3—3)

---

საუკუნო

# კალენდარი

(50 კაპ.) **სიზმრის ახსნა** (20 კაპ.) და **ასოს სამღერალი** (15 კაპ.). — მსურველთ შეუძლიანთ მოითხოვონ პარტიობითა და თითობითა მელიქოვის სტამბის ფაქტორის ლუკონინისაგან.

(6—6)

---

**თბილისის გუბერნიის სათავად-აზნაურო შკოლის გამგებელი კომიტეტისაგან**

**საჭიროა** თექვსმეტ, ანუ ცოტა მეტ-ოთახიანი **სახლი** ეზოთი, სამზარეულოთი, მოსამსახურეების სადგომ ოთახით, სარდაფით და შეშის შესანახი სარაიით.

პატრონმა უნდა მიმართოს გენერალ კ. ქ. ძე მამაცოვს, ანუ სათავად-აზნაურო შკოლის ინსპექტორს ნ. ლომოურს — კუკიაში, თ. თაქთაქოვის სახლი, ქურახანების ახლო (**Втарая Кирпичная улица**).

(10—10)

---

**სავაჭრო სახლი**

**იაგორ კასუმოვი და კამპანია**

ჰყიდის **შეშას**, რომელიც დაწყობილია ფოთი-თფილისის რკინის გზის ვაგზალზე. შეშა არის რცხილისა და წანდრის, კარგი თვისებისა და მშრალი. საჟენი ისყიდება 40 მანეთად შინ მიუტანელად.

მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ კასუმოვის უმთავრესს კანტორაში, ალექსანდროვის ბაღის პირ-და-პირ, თუმანოვის სახლში.

---



ამ კვირიდამ, 27 იანვრიდამ 1880 წ.

**ბალაგანში**

ცირკის გვერდით, ბუნიბის მეიდანზე საზოგადოებას აჩვენებენ

**ჯერ აქ უნახავს მოვლენას:**

**ყველაზე უდიდესი ევროპაში**

# ქალი ამალია

და მთელს ქვეყანაში ყველა კაცებზე უფრო პატარა ადამიანები

მარკიზი **გენრიხ ვოლგე**

და მარკიზა **ლუიზა**

ადგილების ფასი: 1 ადგილისა 50 კაპ., მეორესი — 30 კაპ. ბავშვებისათვის ნახევარი ფასია.

---

# დროება-ივერია

ამ 1880 წლიდამ შეერთებულის რედაქციით გამოდის.

გაზეთი „**დროება**“ გამოვა მუდამ დღე, ორშაბათსა და უქმეების შემდეგ დღეებს გარდა, საშუალის თაბახით. გაზეთში იბეჭდება ტელეგრამმები (პირველ დღესვე) და სახაზინო განცხადებანი (ინტენდანტსტვოსი, პრიკაზისა და სხვ.)

ჟურნალი „**ივერია**“ გამოდის სამს თვეში ერთხელ სივრცით თორმეტი დიდი თაბახი.

**ხელის-მოწერა** მიიღება მხოლოთ რედაქციაში: ერევნის მეიდანზე, შუაბაზრის თავში, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა გამოგზავნონ მოთხოვნილება: ***Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“-„Иверіи“.***

| | წლიწ. | 6 თვე | 3 თვე. |
|---|---|---|---|
| **ფასი** „დროება“ და „ივერია“ ერთად | — 13 მ. | — 7 მ. | — 4 მ. |
| ცალკე: „დროება“ | — 9 „ | — 5 „ | — 3 „ |
| ცალკე: „ივერია“ | — 6 „ | — 4 „ | — 2 „ |

ცალკე ნომერი „დროებისა“ — 5 კაპ.
ცალკე ნომერი „ივერიისა“ — 2 მან.

**სხვა** ვადებით ხელის-მოწერა არ მიიღება.

**ხვედრი** ფასი ჟურნალ-გაზეთისა ხელის-მომწერმა დაბარებისა-თანავე უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

**Дозволено цензурою. Тифлисъ, 3 Марта 1880 г. Типографія Меликова.** გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი.